ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

სამომხმარებლო სესხი - ხელშეკრულება # GCL-SME-TL-2026-01

000 / საქართველო **0000**

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი	
კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი	**ფიქსირებული**
კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი	
კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	
კრედიტის ფინანსური ხარჯები	
ყოველთვიური შენატანი (ძირი თანხა + პროცენტი)	**თანდართული გრაფიკის შესაბამისად**
გაცემის საკომისიო/რეგისტრაციის ხარჯი	
გირავნობის რეგისტრაციის ხარჯი	
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა	
მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა	
კრედიტის მოქმედების ვადა	
სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა	

წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან, და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად და შეადგენს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის: **2%-ს თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა** **1%-ს თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა** **0,5%-ს თუ დარჩენილია 6-12 თვემდე ვადა** **0%-ს 6 თვემდე ვადის შემთხვევაში.** **სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში - თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი 6 თვეზე მეტი ვადა; 0%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა.**	
ვადაგადაცილების პირგასამტეხლო	**სესხის ნარჩენი ძირი თანხის 0.27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.**

მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ამავე ხელშეკრულების 12.1; 12.2; 12.3; 12.4; 12.5; 12.6; 12.7 პუნქტ(ებ)ით/ქვეპუნქტ(ებ)ით განსაზღვრული პირობების დაცვის გათვალისწინებით.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე ელექტრონული ფოსტით, მსესხებლის/თანამსესხებლ(ებ)ის ელ. ფოსტაზე 00000000000 შეტყობინების გაგზავნით.

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით;

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდს – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

სამომხმარებლო სესხი კრედიტის ხელშეკრულება #GCL-SME-TL-2026-01

0000 დადებული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ #GCL-SME-TL-2026

ხელშეკრულების დანართი

0000, საქართველო **0000**

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები:
1.1. გამსესხებელი:

საფირმო სახელწოდება:	**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“**
იურიდიული მისამართი:	**საქართველო, ქ. თბილისი, გამზირი აკაკი წერეთელი N 118, 1-ლი პავილიონი** **ტელ: 2 300 300, ელ.ფოსტა: info@scapp.ge**
საიდენტიფიკაციო კოდი:	**205274273**
რეგისტრაციის თარიღი:	**05/03/2009**
საზედამხედველო ორგანო:	**საქართველოს ეროვნული ბანკი (მის: საქართველო, თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1; http://nbg.gov.ge; 032 2 406 406**
წარმომადგენელი:	**დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობით მოქმედი**

1.2. მსესხებელი

სახელი და გვარი/საფირმო სახელწოდება:	
წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში):	
პირადი ნომერი/საიდენთიფიკაციო კოდი:	
დაბადების თარიღი/რეგისტრაციის თარიღი:	
მისამართი:	
ელ-ფოსტა:	
საკონტაქტო ტელ:	
ანგარიშის ნომერი:	

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე კრედიტის ხელშეკრულება (შემდგომში “ხელშეკრულება”) დადებულია ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტში აღწერილი გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების (შემდგომში “გენერალური ხელშეკრულება”) საფუძველზე,მისი მომსახურების მიზნით და შესაბამისად მისი განუყოფელი და შემადგენელი ნაწილია. ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების ყველა პირობა და

მისი 2.1. პუნქტის თანახმად წინამდებარე ხელშეკრულება აღარ აწესრიგებს იმ პირობებს რაც მოცემულია მითითებულ გენერალურ ხელშეკრულებაში.

2.2 ამ ხელშეკრულებით გამსესხებელიმსესხებელზე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გასცემს სასყიდლიან კრედიტს სესხის ფორმით, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და დაფაროს სრული კრედიტის თანხა წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში აღწერილი წესით.

მუხლი 3. მხარეთა შეთანხმება უზრუნველყოფის საგანზე

3.1. მხარეები თანხმდებიან, რომ გენერალური ხელშეკრულებისა და წინამდებარე ხელშეკრლების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი გირავნობის საგან(ები)ი განზრახ განადგურებულად/გადამალულად მიიჩნევა ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში**:**

3.1.1. გირავნობის საგნის განზრახ განადგურება:

ა) გირავნობის საგანი მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ განადგურებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის მომენტისათვის გირავნობის საგნის შეფასების აქტით განსაზღვრული ღირებულება შემცირებულია არანაკლებ 30%-ისა რაც დგინდება გირავნობის საგნის განმეორებითი შეფასების აქტით. (ღირებულების შემცირებად არ ჩაითვლება სესხის გაცემის და შესაბამისი შეფასების მომენტიდან გირავნობის საგნის წლიური ცვეთა- ყოველწლიურად არაუმეტეს შეფასების აქტით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით);

ბ) გირავნობის საგანი მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ განადგურებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგნის არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება თავდაპირველი შეფასების აქტით (სესხის გაცემის მომენტისათვის შედგენილი შეფასების აქტი) განსაზღვრული გირავნობის საგნის მდგომარეობას (ავტომანქანა დაშლილია, ამოღებულია მნიშვნელოვანი ნაწილები, განადგურებულია/დამწვარია, არსებობს თვალსაჩინო დაზიანებები და ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევა დასტურდება გამსესხებლის მიერ გადაღებული ფოტო/ვიდეო მასალით) მიუხედავად იმისა აღნიშნული დაზიანებები გამოწვეული იქნა უშუალოდ მესაკუთრის/მსესხებლის თუ ნებისმიერი სხვა მესამე პირის მიერ;

გ) გირავნობის საგანი მსესხებლის/მესაკუთრის მიერ განზრახ განადგურებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგანი დაზიანდა ან განადგურდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად და თუ:

- ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ავტოსაგზაო შემთხვევის აქტი გაცემული საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მიერ, აღნიშნული ავტოსაგზაო შეთხვევიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;
- ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გირავნობის საგანს მართავდა მსესხებელი/მესაკუთრე ან სხვა მესამე პირი არაფხიზელ მდგომარეობაში;
- ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გირავნობის საგანს მართავდა არაუფლებამოსილი(მართვის მოწმობის არმქონე პირი);
- ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომა გამოწვეული იქნა მსესხებლის/მესაკუთრის ან სხვა მესამე პირის(გირავნობის საგნის მძღოლის) მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით
- ნებისმიერ შემთხვევაში ავტოსაგზაო შემთხვევისას თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა არაუფლებამოსილი პირი (უფლებამოსილ მძღოლთა/პირთა სია განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართის სახით).
- მსესხებელი/დამგირავებელი საკუთარი სურვილით დააზღვევს გირავნობის საგანს გამსესხებელი/მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ან/და იმ შემთხვევაში თუ გამსესხებელი/მოგირავნე არ იქნება რეგისტრირებული მოსარგებლედ სადაზღვევო პოლისში, რაც გირავნობის საგნის დაკარგვის, დაზიანების, განადგურების ან ნებისმიერი სხვა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეუძლებელს გახდის გამსესხებლის/მოგირავნისათვის ზარალის ანაზღაურებას.

3.1.2. ამავე ხელშეკრულების 3.1.1. პუნქტით გათვალისიწნებული ჩანაწერ(ებ)ი მსესხებლის/მესაკუთრის მიერ გირავნობის საგნის განზრახ განადგურებულად მიჩნევის თაობაზე არ ვრცელდება იმ სესხებთან მიმართებით, თუ გირავნობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი სესხი გაცემულია მსესხებლის გადამხდელ უნარიანობის ანალიზის საფუძველზე"

3.1.3. გირავნობის საგანი გადამალულად მიიჩნევა თუ გამსესხებლის მოთხოვნიდან (მოთხოვნად მიიჩნევა მსესხებლისათვის/მესაკუთრისათვის გაგზავნილი შეტყობინება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით) არაუგვიანეს 3 კვირის ვადაში მსესხებლის/მესაკუთრის მიერ გამსესხებლისათვის/მოგირავნისათვის არ იქნა წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, ან თუ გირავნობის საგანი დასმულია ძებნა-დაკავებაზე და ვერ იქნა მოძიებული ძებნა-დაკავებაზე დასმიდან 2 თვის განმავლობაში, რაც დასტურდება აღმასრულებლის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტით.

3.2. იმ შემთხვევაში თუ გირავნობის საგანი ზემოთ აღნიშნული რომელიმე შემთხვევის დადგომის შედეგად განადგურდება ან აღმოჩნდება გადამალული მსესხებელი/მესაკუთრე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი/მესაკუთრე ადასტურებს, რომ ეთანხმება გირავნობის საგნის შეფასებას თანახმად გამსესხებლის მიერ მომზადებული შეფასების აქტისა, არ აქვს ამასთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა თუ პრეტენზია;

მუხლი 4. საბანკო კრედიტის ძირითადი პირობები

4.1. გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ნომერი	

4.2. გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დადების თარიღი	
4.3. კრედიტის მთლიანი მოცულობა	
4.4. კრედიტის ტიპი:	
4.5. გასატანი/ხელზე ასაღები თანხის ოდენობა (კრედიტის მთლიანი თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით)	
4.6. მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა	
4.7. კრედიტის მოქმედების ვადა;	
4.7.1. სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა	
4.8. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	
4.8.1.. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	
4.8.2. საპროცენტო განაკვეთის ტიპი	**ფიქსირებული**
4.9. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე:	**სესხის ნარჩენი ძირი თანხის 0,27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.**
4.10. კრედიტის გაცემის საკომისიო/გირავნობის რეგისტრაციის ხარჯი	

4.11. კრედიტების დაფარვის წესი	4.11.1. მსესხებელი ვალდებულია დაფაროს კრედიტის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი თანდართული გრაფიკის შესაბამისად. ძირითადი თანხის და საპროცენტო სარგებლის დაფარვის გრაფიკი წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს; 4.11.2. მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის გადახდილი თანხით, მსესხებლის დავალიანება დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში პირგასამტეხლო/ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული პროცენტი/სარგებელი, შემდეგ კრედიტის ძირითადი თანხა. ამასთან, გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს ფულადი ვალდებულებების დაფარვის რიგითობა. 4.11.3. ხელშეკრულებაში მითითებულ კრედიტის მოქმედების ვადასა და გრაფიკს შორის სხვაობის შემთხვევაში, კრედიტის მოქმედების ვადის განსაზღვრისთვის უპირატესობა ენიჭება კრედიტის დაფარვის გრაფიკს. 4.11.4. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელს გამსესხებლის წინაშე ეკისრება რამოდენიმე ვალდებულება ერთდოულად და მათგან ერთ-ერთი წარმოადგენს ვადაგადაცილებულ დავალიანებას, მსესხებლის მიერ ვალდებულებების დაფარვის რიგითობის აურჩევლობის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ ვალდებულების დასაფარად შემოტანილი ნებისმიერი თანხა პირველ რიგში მიმართოს ვადაგადაცილებული დავალიანების დასაფარად, რაზეც მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას. ამასთან, პარალელური ვალდებულებების ერთდროულად ვადაგადაცილების შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს თუ რომელი ვადაგადაცილებული ვალდებულების/სესხის დასაფარად მიმართოს მსესხებლის მიერ გადახდილი თანხები.
4.12. მიზნობრიობა/სხვა არსებითი პირობები:	

4.13. სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო:	**წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან,და ხელშეკრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად შეადგენს:** **2%-ს თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა** **1%-ს თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა** **0,5%-ს თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა** **0%-ს 6 თვემდე ვადის შემთხვევაში.** **სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში - თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი 6 თვეზე მეტი ვადა; 0%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა.**

4.14. გამსესხებელს უფლება აქვს 4.12. პუნქტში მითითებული არსებითი პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს გაცემული კრედიტის დაუყოვნებლივ დაბრუნება დარიცხულ სარგებელთან ერთად.

4.15. სესხის გადაცემა დასტურდება ჩეკით, რომელიც გადაეცმა მსესხებელს საბანკო დაწესებულებაში წარსადგენად თანხის განაღდების მიზნით, სალაროს გასავლის ორდერით, მსესხებლის საბანკო ანგარიშზე (მისი არსებობის შემთხვევაში საბანკო რეკვიზიტი მითითებული უნდა იქნეს 1.2. პუნქტში) თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტით, ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს აღნიშნულ ოპერაციას;

მუხლი 5. საპროცენტო სარგებელი, მისი დარიცხვის და შეცვლის წესი

5.1. კრედიტის ეფექტური საპროცენტო სარგებელი იანგარიშება ხელშეკრულებით განსაზღვრული სრული კრედიტის თანხაზე (4.3 პუნქტში მითითებული კრედიტის თანხა) წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით. ამასთან, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა ფინანსური ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია გამსესხებლის მიერ და წარმოადგენს მსესხებლის მიერ სესხის მიღების, შენარჩუნების და/ან ამ სესხით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს, კერძოდ:

ა) საპროცენტო ხარჯი/შენატანები;

ბ) მომსახურებაზე გამსესხებლის მიერ დაწესებული გადასახდელები;

გ) გამსესხებლის მიერ დაწესებული ტრანზაქციისა და საკომისიო ხარჯი;

დ) აუცილებელი დაზღვევის ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ქონების ღირებულების შეფასების ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) სანოტარო ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) გადასახდელი, რომელსაც მსესხებელი უხდის მესამე პირს სესხით სარგებლობის დასრულების დროს, თუ ეს წარმოადგენს მსესხებლის მიერ სესხით სარგებლობის დასრულების და ხელშეკრულებამდე არსებული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელ პირობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ი) სხვა მნიშვნელოვანი გადასახდელები, რომელთა შესახებ გამსესხებელმა შეიტყო სასესხო ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

5.2. თუ გამსესხებელი ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტს ამ ხელშეკრულებას, პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება სესხის დაბრუნებამდე ან წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულების მე–15 მუხლით განსაზღვრული სანქციების გამოყენებამდე. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ გამსესხებელი უფლებამოსილია დაარიცხოს საპროცენტო სარგებელი დავის დაწყებიდან (არბიტრაჟი/სასამართლო, რაც დასტურდება არბიტრაჟის შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ გაცემული დადგენილებით საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, სასამართლო დავის შემთხვევაში სასამართლოს ოფიციალურ ვებ გვერდზე ატვირთული სატელეფონო ჩანაწერის აქტით საქმის წარმოებაში მიღების შესახებ) არაუმეტეს 1 თვისა ან/და მანამ სანამ ვადაგადაცილებულ სესხზე მიმდინარე ვადაგაცილების სრულ აღმოფხვრამდე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გაუტოლდება სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას, ამასთან ზემოთ აღნიშნული შემთხვევებიდან აქტიურდება ის დათქმა, რომელიც პირველი დადგება.

მუხლი 6. პირგასამტეხლოს დარიცხვის წესი

6.1. იმ შემთხვევაში თუ გამსესხებლის ანგარიშზე სრულად არ ჩაირიცხება თანხა გრაფიკით დადგენილ ვადებში, გამსესხებელი უფლებამოსილია (არ არის ვალდებული) დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების 4.9. პუნქტში მითითებული ოდენობით ყოველი

ვადაგადაცილებული დღისთვის; პირგასამტეხლოს და ჯარიმის გადახდა არ ანთავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით დადგენილი სხვა გადასახდელების გადახდისაგან;

მუხლი 7. უზრუნველყოფა

7.1. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილია წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებული გენერალური ხელშეკრულების და მის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაფორმებული იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და უზრუნველყოფის სხვა ხელშეკრულებების საგნებით;

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის გაცემიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში მსესხებელი/მესაკუთრე არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს გამსესხებელს გირავნობის უფლების გაუქმება 4.1. პუნქტში მითითებული საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებულ გირავნობის საგანზე.

მუხლი 8. კრედიტის წინსწრებით დაფარვა

8.1. მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს სესხის ძირი თანხის ვადაზე ადრე დაბრუნება მთლიანად ან ნაწილობრივ, ამასთან კრედიტის წინსწრებით დაფარვის წესი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების 4.13. პუნქტში;

8.2. გამსესხებელი უფლებამოსილი, მსესხებლის მიერ სესხის სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად გადახდილი თანხით მოახდინოს სესხის წინსწრებით დაფარვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის თაობაზე მსესხებელი წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული) ფორმით ან/და სხვა დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით (შესაბამისი იდენტიფიცირების შემდეგ) მიმართავს გამსესხებელს;

მუხლი 9. ხელშეკრულების ძალაში შესვლის, მოქმედებისა და ვადამდე შეწყვეტის წესი.

9.1. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის, მოშლისა და გაუქმების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ, გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებაში.

მუხლი 10. პრეტენზიების წარდგენის წესი

10.1. მსესხებელი უფლებამოსილია გამსესხებელს წაუყენოს წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან/დანართებიდან გამომდინარე პრეტენზია წერილობით, გამსესხებლის ვებ გვერდზე www.scapp.ge მომხმარებელთა პრეტენზიების მოდულში შესაბამისი შეტყობინების დაფიქსირებით ან ზეპირად;

10.2. გამსესხებელი ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განიხილოს მსესხებლის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია და შეატყობინოს შესაბამისი გადაწყვეტილება მსესხებელს, მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით ან/და საკონტაქტო ტელეფონზე ინფორმაციის ზეპირი ფორმით მიწოდების გზით. შესაძლებელია მსესხებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში პასუხი პრეტენზიაზე ჩაბარდეს მატერიალური ფორმით;

10.3 მსესხებლის მიერ წაყენებული პრეტენზიების მიღება, დამუშავება და შედეგების შესაბამისი ადრესატებისათვის გაცნობახორციელდება, გამსესხებლის მიერ წარდგენილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ოფიცრის მიერ.

მუხლი 11. მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები

11.1. მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები გათვალისწინებულია მსესხებელთან გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მე-9 მუხლში

მუხლი 12. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

12.1. მსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში უარი თქვას სესხის ხელშეკრულებაზე;

12.2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე 12.1. პუნქტში მითითებული ვადის დაცვის გათვალისწინებით (ვადის ამოწურვამდე) აცნობოს გამსესხებელს აღნიშნულის თაობაზე მატერიალურად წარდგენილი წერილობითი შეტყობინების ან წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. დისტანციურად დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მსესხებელი ასევე უფლებამოსილია გამსესხებლის ინფორმირება ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე მოახდინოს ინტერნეტ/მობაილბანკიდან;

12.3. თუ მსესხებელს სესხის თანხა გამსესხებლის შეთავაზების საფუძველზე მიღებული აქვს შპს „ფეი უნიქარდი"-ს მიერ ემიტირებული საგადახდო მომსახურების ბარათის საშუალებით, მსესხებელი უფლებამოსილია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასევე მოითხოვოს მითითებული საგადახდო ბარათის გაუქმება, გამსესხებლისთვის გაგზავნილ/მიწოდებულ შეტყობინებაში შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირების გზით, სხვა შემთხვევაში საგადახდო ბარათი მსესხებლის სახელზე რჩება აქტიურ ბარათად რეგისტრირებული;

12.4. მსესხებლის მიერ წინამდებარე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა სრულად და ერთიანად გადაიხადოს/დააბრუნოს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხა, მასზე დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი სესხით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, და მსესხებლის მიერ სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ან/და გამსესხებლის მიერ მესამე

პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯები (მათი არსებობის შემთხვევაში);

12.4.1. მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის მიუხედავად უზრუნველყოს სესხის გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური გადახდა, თუ მისი ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან, ვალდებულების სრულად და ერთიანად დაფარვამდე მონაკვეთში (იგულისხმება ოცდაათდღიანი ვადა) სესხის დაფარვის გრაფიკი ითვალისწინებს თანხის გადახდას.

12.5. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტალად მსესხებლის მიერ 12.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

12.6. მსესხებლის მიერ 12.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არასრული, არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის 12.1. პუნქტის დაცვით წარდგენილი შეტყობინება ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე მიიჩნევა ძალადაკარგულად, რა შემთხვევაშიც მსესხებელი ვალდებულია სესხზე მომსახურება განაგრძოს წინამდებარე სესხისა და მასზე თანდართული გრაფიკით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

12.7. მსესხებელს არა აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე თუ მის მიერ დარღვეული იქნა წინამდებარე მუხლის 12.1 ან/და 12.2. განსაზღვრული ვადები და პირობები;

მუხლი 13.ინფორმაციის მიწოდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის

13.1. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“ იურდიული მისამართი: საქართველო ქ. თბილისი, გამზირი აკაკი წერეთელი N118, 1-ლი პავილიონი) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

13.2. მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 14. ინფორმაციის გაცემა თავდებობის/სოლიდარული პასუხისმგებლობის მონაწილე მხარისათვის, იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის მესაკუთრისათვის;

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი ინფორმირებულია და უპირობო თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი შემადგენელი გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის ან/და იპოთეკის საგნის მესაკუთრის, ასევე თავდების/სოლიდარული პასუხისმგებლობის მონაწილე მხარის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია ხელმისაწვდომი გახადოს როგორც მესაკუთრის ასევე თავდებისათვის/სოლიდარული პასუხისმგებლობის მონაწილე მხარისათვის 4.1. პუნქტში აღნიშნული გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებისა და წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულების ასლები, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ინფორმაცია მსესხებლის მიმდინარე დავალიანების შესახებ, რაც არ საჭიროებს მსესხებლის დამატებით წერილობით ინფორმირებას.

14.2. იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტში ან/და მასთან დაკავშირებით მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის წარდგენილ განაცხადში, მითითებულია მსესხებლის მხრიდან საკონტაქტო პირი, გამსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში (მათ შორის და არა მხოლოდ, მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი მოთხოვნების ამოღების მიზნით) ნებისმიერი სახის და შინაარსის კომუნიკაცია (მათ შორის და არა მხოლოდ, უზრუნველყოფილი მოთხოვნების მოცულობისა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესახებ) განახორციელოს შეუზღუდავად, როგორც თავად მსესხებელთან, ისე საკონტაქტო პირთან. მსესხებელი ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა ნებართვა და თანხმობა საკონტაქტო პირისგან, მისი პერსონალური მონაცემების გამსესხებლისთვის გადაცემის და მათი დამუშავების თაობაზე და საკონტაქტო პირი ინფორმირებულია;

14.3. იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე ხელშეკრულებაში, ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ დოკუმენტში მითითების გზით (მათ შორის გამსესხებლისთვის ზეპირი ფორმით მიწოდებული ინფორმაციით) ან/და საჯარო წყაროებიდან, გამსესხებლისთვის ცნობილი გახდა მსესხებელთან დაკავშირებული მესამე პირ(ებ)ის ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი, გამსესხებელი უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში (მათ შორის და არა მხოლოდ, მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მისი ამოღების მიზნით) დაუკავშირდეს აღნიშნულ პირ(ებ)ს და მოახდინოს მათთან ნებისმიერ სახისა და შინაარსის კომუნიკაცია, რაც გამომდინარეობს მსესხებლის ადგილმდებარეობის მოძიების ან/და მასთან დაკავშირების მიზნებიდან; მსესხებელი ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა ნებართვა და თანხმობა მესამე პირ(ებ)ისგან, მისი პერსონალური მონაცემების გამსესხებლისთვის გადაცემის და მათი დამუშავების თაობაზე და მესამე პირი ინფორმირებულია;

მუხლი 15 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის წესი

15.1. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში,მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში –

არანაკლებ ერთი თვით ადრე წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტში გათვალისწინებულ ერთ-ერთ (საკომუნიკაციო არხის არჩევითობა განისაზღვრება გამსესხებლის შეხედულებით) მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით;

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობ(ებ)ის ცვლილებისას, გამსესხებელი თავისუფლდება მომხმარებლის შეტყობინების ვალდებულებისგან, იმ შემთხვევაში თუ ცვლილება ხორციელდება მსესხებლის/თავდების/მესაკუთრის სასარგებლოდ.

მუხლი 16. დამატებითი პირობები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეებს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე;

16.2. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე. გამსესხებლის წერილობითი შეთანხმების გარეშე მსესხებელს უფლება არ აქვს სხვას გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება.

16.4. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა ან უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება გენერალური ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, და თითოეული გადაეცათ მხარეებს.

16.6. თუ წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერა შესრულებულია ელექტრონული ხელმოწერით (მათ შორის პლატფორმა Signify-ის მეშვეობით), ასეთ შემთხვევაში მსესხებელი აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ მსესხებლის (მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის) მიერ წინამდებარე დოკუმენტზე შესრულებულ ელექტრონულ ხელმოწერას გააჩნია წერილობითი/მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით

მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში,

თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა

მხარეთა ხელმოწერები:

გამსესხებელი: **მსესხებელი:**

გამსესხებელი სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ" - წარმომადგენელი:	**მსესხებელი**